



№ 02/05/02/21

05 თებერვალი 2021 წელი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს  
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ბატონო ჯაბა,

როგორც მოგეხსენებათ, 2020 წლის 13 თებერვალს გაფორმებული N 15 ხელშეკრულების საფუძველზე ვახორციელებთ „ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებს“.

როგორც ცნობილია, აჭარაში ისევე როგორც სრულად მთელს ქვეყანაში პანდემიის გამო შეწყვეტილი იყო სამოქალაქო სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, რაც თავის მხრივ აფერხებდა სამუშაოთა წარმოებას, მუშახელის ობიექტზე მობილიზებას და საფრთხეს უქმნის ფინანსური გეგმა-გრაფიკის III ეტაპით განსაზღვრული სამუშაოების დროულ შესრულებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გადაადგილების შეზღუდვა საღამოს 9 საათიდან დილის 5 საათამდე მნიშვნელოვნად აბრკოლებს სამუშაოთა წარმოების პროცესს, რადგან მუშახელის ობიექტიდან გაშვება გვიწევს დაგეგმილზე უფრო ადრე (რათა 9 საათამდე მოესწროს მათი სახლებამდე ტრანსპორტირება და მძღოლების დაბრუნება).

პანდემიით გამოწვეულ სამუშაოების შესრულების გაძნელებისა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში - შეუძლებლობის შესახებ ადრეულ სტადიაზეც გაცნობეთ და მოვითხოვეთ სამუშაოების დასრულების ვადის ზრდა, თუმცა აღნიშნული არ იქნა გათვალისწინებული, რადგან არ აღინიშნებოდა ფინანსურ გეგმა-გრაფიკზე ჩამორჩენა, არამედ ფიქსირდებოდა სამუშაოების წინსწრებით შესრულება. სწორედ ფინანსური გეგმა-გრაფიკის პირველი ეტაპის სამუშაოების შეთანხმებულზე ნაკლებ ვადებში შესრულებით იქნებოდა შესაძლებელი II, III და IV ეტაპის სამუშაოების დროული დასრულება. თუმცა პირველი ეტაპის სამუშაოების შესრულებისას, როგორც იცით, სახეზე იყო სამუშაოების შესრულების შეუძლებლობის კანონისმიერი საფუძველი. როგორც მოგეხსენებათ, ხელშეკრულების დანართი N2-ის შესაბამისად III ეტაპის სამუშაოების დასრულება განსაზღვრულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 12 თვით (2021 წლით 13 თებერვალი). იმის გათვალისწინებით, რომ აჭარაში არის მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა კვლავ რთულია, რის გამოც 2021 წლის 01 თებერვლამდე შეზღუდული იყო საქალაქო ტრანსპორტის გადაადგილება, ასევე, გადაადგილება კვლავ შეზღუდულია საღამოს 9 საათიდან დილის 5 საათამდე, შეუძლებელი იქნება ფინანსური გეგმა-გრაფიკის III ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შეთანხმებულ ვადაში შესრულება.

ფაქტობრივად საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვის გამო ჩვენ გვიხდებოდა მუშახელის ობიექტზე და ობიექტიდან სახლში ტრანსპორტირება, რაც შესაბამისად კომენდანტის საათის გათვალისწინებით იწვევს ობიექტზე მუშახელის დაგვიანებით მოსვლას და დროზე ადრე გასვლას ობიექტიდან. აღნიშნულს თან ახლავს თერმოსკრინინგისა და ობიექტზე შესვლისათვის საჭირო სადემინფექციო, შესვენებაზე მუშახელის განთავსებისა და სხვა თანმდევი პროცედურები, გვიწევს ბეტონის მიღების საათების დაგეგვა კომენდანტის საათის გათვალისწინებით, უკვე შექმნილი გართულებებისა და ჩამორჩენის გარდა, ძნელია განისაზღვროს თუ რა შეფერხებებსა და გართულებებს შექმნის აღნიშნული სიტუაცია პროექტის დადგენილ ვადებში დასრულებასთან მიმართებაში.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია მოგვეცეს საშუალება, ავითვისოთ ობიექტის წითელ ხაზში შემავალი სრული ტერიტორია (წერილობით გვაცნობეთ, რომ მზად ხართ გამოგვიყოთ სხვა ტერიტორია), ვინაიდან შენობებს შორის ტერიტორია არ არის საკმარისი ობიექტზე საჭირო მასალის განსათავსებლად, რადგან აღნიშნული მასალების დასაწყობება სხვადასხვა მომსახურე მანქანები, ავტო და სხვა მექანიზმების გადაადგილებას შეუძლებელს ხდის. ვერ ვასაწყობებთ არმატურას, ვინაიდან სხვა ტერიტორიაზე არმატურის დასაწყობება იწვევს მის ორჯერ დატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესს, რაც ისედაც შემცირებული სამუშაო საათების პირობებში კიდევ დამატებით დროს მოითხოვს. დავინწყეთ შენობების იატაკის დათბუნებისათვის პემზის შემოტანა, რომლის დასაწყობებლად ადგილია საჭირო. ვგეგმავთ სხვა და სხვა შიდა სარემონტო თუ ტერიტორიის საკანალიზაციო, გარე განათებისა და სხვა საინჟინრო კომუნიკაციებისა თუ ნაგებობების (სახანძრო რეზერვუარები) მონყობის სამუშაოების დაწყებას და ტერიტორიაზე შიდა გადაადგილებისა თუ სხვა და სხვა ისეთი მასალის განთავსებას, რომელსაც სხვა ტერიტორიაზე ვერ დავასაწყობებთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვროს 2021 წლის 25 ოქტომბერი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული საკითხები და განახორციელოთ შესაბამისი ცვლილება ფინანსურ გეგმა-გრაფიკში.

**დანართი:** კორექტირებული ფინანსური გეგმა-გრაფიკი;

პატივისცემით,

დირექტორი

მიხეილ შარანგია